ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 177

"24" ივლისი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: 01.14.11.017.023) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სანრაიზ ჰოსფითალითისთვის" (ს/ნ: 405356001) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.023) 12 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სანრაიზ ჰოსფითალითისთვის" (ს/ნ: 405356001) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 6 ივლისის №20.708.876 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა №23-33-ის მიმდებარედ არსებული 981 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.14.11.017.023) 12 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სანრაიზ ჰოსფითალითისთვის" (ს/ნ: 405356001) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 730 (ათას შვიდას ოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე